



შ.პ.ს სერვისეირი

Service Air Ltd

საქართველო, მცხეთა, ნატახტარი. ტელ: +995 322 428 428; მობ: +995 599 45 25 25; Nataktari, Mtskheta, Georgia. Tel: +995 322 428 428; Mob: +995 599 45 25 25; E-mail: admin@serviceair.ge

№ 50/25-09-30-001

„30“ სექტემბერი 2025 წ.

ამასთან წარმოგიდგენთ შპს „სერვისეირი–ServiceAir (სკ 204439376)“ 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მსს) შესაბამისად.



ამირან მანჯავიძე

დირექტორი

შპს „სერვისეაირი -ServiceAir“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31
დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

**შპს „სერვისეირი -ServiceAir“-ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობა (ლარი)**

ფინანსური მდგომარეობა	2024-12-31	2023-12-31
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,557	43,073
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	85,686	108,739
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9,328	13,045
მარაგები	391,980	355,894
სხვა მოკლევადიანი აქტივები	15,640	15,640
საინვესტიციო ქონება	3,558,195	3,478,571
ბიოლოგიური აქტივები	54,703	54,703
თვითღირებულების მოდელით		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,555,787	2,704,444
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	6,672,875	6,774,109
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	210,493	453,644
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	111,809	99,824
საგადასახადო ვალდებულებები	6,267	21,275
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1,434	3,014,587
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,848,038	489,292
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	19,493	23,663
სულ ვალდებულებები	4,197,533	4,102,285
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1,474,849	1,475,249
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,000,493	1,196,575
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულ საკუთარი კაპიტალი	2,475,342	2,671,824
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,672,875	6,774,109

შპს „სერვისეირი -ServiceAir“-ის დირექტორი
ამირან მანჯავიძე

შპს „სერვისეირი -ServiceAir“-ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები (ლარი)


საქმიანობის შედეგები	2024-12-31	2023-12-31
ნეტო ამონაგები	1,654,346	1,104,273
საქონლის გაყიდვიდან	934,738	385,941
მომსახურების გაწევიდან	400,189	479,001
სხვა	319,420	239,331
გაყიდვების თვითღირებულება	-631,355	-259,682
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
საერთო მოგება	1,022,992	844,592
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-417,428	-328,001
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-192,880	-218,929
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-91,642	-84,548
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-519,092	-379,745
სულ საოპერაციო ხარჯები	-1,221,042	-1,011,223
საოპერაციო მოგება	-198,051	-166,631
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-198,051	-166,631
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-198,051	-166,631
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,671,824	2,669,088
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1,569	169,367
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,475,342	2,671,824

შპს „სერვისეირი -ServiceAir“-ის დირექტორი
ამირან მანჯავიძე

ფულადი სახსრების მოძრაობა (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი		
ფულადი სახსრების მოძრაობა	2024-12-31	2023-12-31
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-116525	4712
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-400	36037
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	75409	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-41516	40749
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		1440
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	43073	880
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1557	43073

შპს „სერვისეირი -ServiceAir“-ის დირექტორი
ამირან მანჯავიძე



შპს „სერვისეირი -ServiceAir“-ის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. „სერვისეირი-ServiceAir“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2002 წლის 25 სექტემბერს ქ. თბილისის მთაწმინდა კრწანისის რაიონულ სასამართლოში სარეგისტრაციო ნომრით 06/4-1107 და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 204439376;

2018 წლის 12 დეკემბერს, კომპანიის დამფუძნებლებში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვისეარ ჰოლდინგი (სნ436040883) -100%

იურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი , სოფელი ნატახტარი (აეროდრომი).

საზოგადოების ღირექტორია: ამირან მანჯავიძე პირადი ნომერი 01007001797.

ორგანიზაციის საქმიანობის სფერო: საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობა, მათ შორის მგზავრების და ტვირთების სააეროპორტო და სააეროდრომო მომსახურება, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული GE.45-004 სერტიფიკატის შესაბამისად), მგზავრების და ტვირთების საავიაციო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

2. ძირითადი საადრიცვო პოლიტიკა

ძირითადი საადრიცვო პოლიტიკები , რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშების მომზადების და წარგენის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე , რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში -ლარი, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და ასევე ნაღდ ფულს სალაროში.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას გაკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე

მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში შესაბამისი მუხლით.

2.9 სესხი

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებულ სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯით. სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები გადაფასდება წლის ბოლოს, სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში შესაბამისი მუხლით. კომპანიას ერიცხება სს „ბანკი ქართუ“-ს ერთი სესხი აშშ დოლარში #სერვისეირ- 13/03-14-C11. აღნიშნული სასესხო ვალდებულება გრძელვადიანია (აღება 1 წელს).

2.10 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილებით ხდება.

2.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.12 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.13 სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

2.14 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.15 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

2.16 ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად და მათ ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

2.17 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის საანგარიშგებო თვეში. სქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად , 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) .

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	453	33855
ნაღდი ფული	1103	9218
საგარანტიო დეპოზიტი		0
სულ	1556	43073

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები	85686	108793
სულ	85686	108793

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	3387680	351595
სხვა	4300	4300
სულ	391980	355895

2.6 ძირითადი საშუალებები

მიწა (საინვესტიციო ქონება)

საწყისი ნაშთი 01.01.2024	3 478 571
შემოსვლა	79 624
გასვლა	-
დარიცხული ცვეთა	-
საბოლოო ნაშთი 31.12.2024	3 558 195

პერიოდი /ჯგუფი	შენიშვნა	სატრანს პორტო საშუალებები მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 01.01.2024	1 406 316	1 087 502	226 267	2 720 085
შემოსვლა	-	39 059	5 163	44 222
გასვლა	-	-	-	-
დარიცხული ცვეთა	-70 548	-120 114	-2 218	-192 880
ნაშთი 31.12.2024	1 335 768	1 006 447	229 212	2 571 427

ბიოლოგიური აქტივი: 01-01-2024 54 703 ლარი

ბიოლოგიური აქტივი: 31-12-2024 54 703 ლარი

2.7 არამატერიალური აქტივები

	მოძრაობა
ნაშთი 01.01.2024	3
ცვეთა	-
შემოსავლა	-
ნაშთი 31.12.2024	3

2.8 მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	178 025	387838
საგადასახადო ვალდებულებები	6 267	21275
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	111 809	99824
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1 434	3014587
სხვა ვალდებულებები	51 960	89469
სულ	349 495	3 612 993

ნასესხები სახსრები, გრძელვადიანი ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3 848 038	489292
სულ	3 848 038	489 292

შპს „სერვისეირი -ServiceAir“-ის დირექტორი
ამირან მანჯავიძე

